

.შპს „როიალ ლამი“

ფინანსური ანგარიშგება

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა
2021 წლის 31 დეკემბერს

შპს „როიალ ლამი“

ფინანსური ანგარიშგება

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2021 წლის 31 დეკემბერს

შპს „როიალ ლამი“

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 3

საქმიანობის შედეგები 4

ფულადი ნაკადების ანგარიშგება 5

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 6

განმარტებითი შენიშვნები 7-12

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2021 წლის 31 დეკემბერს (ლარებში)

გვერდი 3-12

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ლარებში)

	შენიშვნა	2021	2020
შემოსავალი მომსახურების რეალიზაციიდან		256577	248784
შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან	7	2120516	1851577
რეალიზებული მომსახურების თვითღირებულება	8	(1826938)	(1565298)
საერთო მოგება		550155	535063
საერთო დადამინისტრაციული ხარჯები	9	(269422)	(271355)
საოპერაციო მოგება		(271355)	(271355)
მოგების გადასახადი ხარჯი		(706)	(468)
სხვა წმინდაარასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)		50277	25370
მთლიანი სრული შემოსავალი/ზარალი		330304	288610
მოგების გადასახადი წმინდამოგება		(490490)	0
სხვა ცვლილება გაუნაწილებელ მოგებაში			
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში		1044526	755916
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს		955340	1044526

ფ. გილვაშვილი

ნ. ხუციშვილი

400132100
საქარმსო
"ROYAL LAMIN LTD."
საქართველო • GEORGIA

გვერდებზე არსებული მნიშვნელები არ მოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „როიალ ლამი“

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2021 წლის 31 დეკემბერს(ლარებში)

	2021 წ	2020წ
საოპერაციო საქმიანობა		
მომხმარებლისგან მიღებული ფულადი სახსრები	4041469	2590734
მომწოდებლებსა და დასაქმებულ პირებზე გაცემული ფულადი სახსრები	(4389436)	(2420100)
სხვა შემოსავლები/(ხარჯები)		
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული ფულადი სახსრები	(347967)	170634
გადახდილი მოგების გადასახადი		
ნეტო ფულადი სახსრებისა და საოპერაციო საქმიანობიდან		
საინვესტიციო საქმიანობა		
ფულადი სახსრების შემოსვლა გრძელვადიან აქტივების გაყიდვიდან		
მიღებული პროცენტი		
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ინეტო ფულადი სახსრები		
საფინანსო საქმიანობა		
დივიდენდების გადახდა		
ნეტო ფულადი სახსრებისა და საფინანსო საქმიანობიდან		
ნეტო ფულადი სახსრების შემოსვლა ან (გასვლა) წლის განმავლობაში	(347967)	
ფულადი სახსრები წლის დასაწყისისათვის		422465
ფულადი სახსრები წლის ბოლოსათვის	74498	

დირექტორი

ბუღალტერი

3. გიორგი შვილი
6. ს. სურგულაძე



7-

12 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.


შპს „როიალ ლამი“

მფლობელთა კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2021 წლის 31 დეკემბერს
(ლარში)


	საწესდებოკაპიტალი	რეზერვები	აკუმულირებული მოგება/ზარალი	სულ
ნაშთი _ 31.12.2020 წ.	0	-		1044526
დივიდენდის განაწილება				(0)
ცვლილება გაუნაწილებელ მოგებაში				(419490)
2021 წლის წმინდამოგება (ზარალი)				330304
ნაშთი _ 31.12.2021 წ.	0			955340

დირექტორი




მ. ბილიაშვილი

ბუღალტერი



ნ. სურგულაძე



7-

12 გვერდზე არსებული მენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2021 წლის 31 დეკემბერს
(ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „როიალ ლამი“ დაფუძნდა 2014 წლის 6 ნოემბერს საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად. კომპანიის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს), რომლის შესაბამისი წილის მმართველი არის:

-გიორგი გილიგაშვილი 100%

კომპანიის ხელმძღვანელობისთვის უფლებამოსილი პირი არის: ვაჟა გილიგაშვილი-დირექტორი.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ხის ხერხვა და რანდვა (ლამინირებული დსპ, დეკ, მდფ-ს დაჭრა დაწიბოება, ფურნიტურის მასალების რეალიზაცია).

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, გლდანი-ნაძალადევის რაიონი, გლდანი ა მ/რ კორპ. 2 ზ 122,

2. მომზადების საფუძვლები

ა) ანგარიშგების შესაბამისობა

წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (ფასს) მცირე და საშუალო საწარმოებისათვის შესაბამისად (მსს ფასს). ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში კომპანია იყენებს გარკვეულ მნიშვნელოვან სააღრიცხვო შეფასებებს როგორც ამას მოითხოვს მსს ფასს. ფინანსური ანგარიშგების არეები, რომლისთვისაც ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში კომპანია იყენებს მნიშვნელოვან დაშვებებსა და შეფასებებს მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდს წარმოადგენს კალენდარული წელი, რომელიც იწყება 1 იანვარს და სრულდება 31 დეკემბერს.

ბ) ფინქციონირების უწყვეტობა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის მენეჯმენტსა და მფლობელს სურვილი აქვს, განავითარონ კომპანიის საქმიანობა საქართველოში. მენეჯმენტს სჯერა, რომ უწყვეტობის პრინციპის გამოყენება შესაფერისია კომპანიისათვის.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს საწარმოს ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია:

- ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლის მიღებას. პერიოდულად ხდება შეფასებების სისწორის შემოწმება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ვარიაციები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2021 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

4. ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოყენება

ანგარიშგება წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) მცირე და საშუალო საწარმოებისათვის შესაბამისად მომზადებულ პირველ ფინანსურ ანგარიშგებას. წარმოდგენილი ორგანიზაციის მსს ფასს-ების შესაბამისი სააღრიცხვო პოლიტიკა გამოყენებულია 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგებისთვის.

5. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

ქვემოთ წარმოდგენილია სააღრიცხვო პოლიტიკის ის ძირითადი პრინციპები, რომლებიც კომპანიამ გამოიყენა ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებისათვის.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ა) შეფასების და წარდგენის ვალუტა

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია იმ ქვეყნის ვალუტაში, სადაც კომპანია ფუნქციონირებს (ფუნქციონალური ვალუტა). ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარებში, რომელიც კომპანიის ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტაა.

კომპანია არ ახორციელებს ოპერაციებს უცხოურ ვალუტაში,

ხარჯების აღიარება

კომპანია გასწევს ხარჯებს საქმის წარმოებაზე თავის საოპერაციო საქმიანობის პროცესში, ასევე აქვს სხვა ხარჯები.

ხარჯების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა შემცირება მომავალი ეკონომიკური სარგებლისა, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებას ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, გაწეული ხარჯებისა და შემოსავლების შორის უშუალო შეპირისპირების საფუძველზე, შემოსავლების კონკრეტული მუხლების მიხედვით.

თუ კი ეკონომიკური სარგებლის წარმოშობა მოსალოდნელია რამდენიმე საანგარიშო პერიოდის მანძილზე და კავშირი შემოსავალთან შეიძლება მოიძებნოს მთლიანად ან ნაწილობრივ, მაშინ მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში ხარჯის აღიარება მოხდება რაციონალური გადანაწილების მეთოდით.

ფულადი სახსრები

ფულადი სახსრები გულისხმობს ფულს საბანკო ანგარიშებზე.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები ბალანსში აისახება ისტორიულ ღირებულებას მინუს დაგროვილი ცვეთის თანხა. ისტორიული ღირებულება მოიცავს აქტივის შეძენასთან დაკავშირებულ ყველა პირდაპირ დანახარჯს.

ძირითადი საშუალებების შეძენის შემდგომი დანახარჯები უნდა დაემატოს ამ აქტივის ღირებულებას, ან აღიარდეს ცალკე აქტივად, თუ: მოსალოდნელია, რომ საწარმო მომავალში ამ აქტივის გამოყენებით მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს; და საწარმოსათვის შესაძლებელია აქტივის ღირებულების საიმედოდ შეფასება. საწარმო არ აღიარებს ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებაში მისი ყოველდღიური

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2021 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

მომსახურების დანახარჯებს, ეს დანახარჯები აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

აქტივის ცვეთის თანხა უნდა განაწილდეს სისტემატურ საფუძველზე, მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში შემდეგნაირად:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
ავტო ტრანსპორტი	5
ოფისის აღჭურვილობა	5 - 10
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5 - 10
სხვა	4 - 5

ძირითადი საშუალებების შემოსვლისას ცვეთის გაანგარიშება იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად. თუ ძირითადი საშუალება შევიდა ექსპლუატაციაში, მას ცვეთა ერიცხება მისი აღიარების შეწყვეტამდე. ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, მათი სასარგებლო მომსახურების ვადების შესაბამისად.

მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიშობა ძირითადი საშუალებების ერთეულის აღიარების შეწყვეტისას, უნდა განისაზღვროს, როგორც სხვაობა წმინდა გასვლის ამონაგებსა (თუ ასეთი არსებობს) და მათ საბალანსო ღირებულებას შორის.

ვალდებულებები

ვალდებულებები მოცემულია თვითღირებულებით, რომელიც უნდა ანაზღაურდეს და წარმოშობილია მიღებული მომსახურებისა და შეძენილი საქონლისთვის.

ვალდებულებები, რომელთა დაფარვის ვადა ერთ წელზე მეტია, ასახულია, როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები.

ბალანსის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

6. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

ისტორიული ღირებულება	ავეჯი და სხვა ინვენტენტ	ოფისის აღჭურვილობა და იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	მანქანა- დანადგარები	სულ	
ისტორიული ღირებულება 31.12.2019	10335	0	17120	159294	186749
შემოსვლა	2343	2797	3126	12288	20554
გასვლა				39634	39634
ისტორიული ღირებულება 31.12.2020	12679	2797	20246	131948	167670
შემოსვლა	1114		0	144772	145886
გასვლა	0		0	7000	7000
ისტორიული ღირებულება 31.12.2021	13793	2797	20246	269720	306556

დაგროვილიცვეთა

დაგროვილიცვეთა 31.12.2019	(5702)		(2466)	(48061)	(56229)
ცვეთა 2020	(1415)		(2666)	(24120)	(28201)
				25022	25022
დაგროვილიცვეთა 31.12.2020	(7117)		(5132)	(47159)	(59408)
ცვეთა 2021	(1132)	(559)	(2382)	(16499)	(20572)
დაგროვილიცვეთა 31.12.2021	(8250)	(559)	(7514)	4706 (58952)	4706 (75275)

საბალანსოღირებულება

საბალანსოღირებულება 31.12. 2019	4633	0	14654	111233	130520
საბალანსოღირებულება 31.12. 2020	5561	2797	15113	84789	108260
საბალანსოღირებულება 31.12. 2021	5543	2237	12731	210769	231280

7. შემოსავალირეალიზაციიდან

კომპანიის მიერ ძირითადი საქმიანობიდან მიღებულმა შემოსავალმა 2021 წელს შეადგინა 2377093 ლარი

8. თვითღირებულება

	2021	2020
სასაქონლო-მატერიალური მარაგი	614953	332764
შესყიდული მომსახურეობა	306069	312036
დაზღვევა	0	0
საბუთების გაფორმება	0	0
სხვა ხარჯი	-	0
სულ	921022	644800

9. ადმინისტრაციული ხარჯები

ადმინისტრაციული ხარჯები 2021 წლის განმავლობაში შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2021 წლის 31 დეკემბერს
(ლარში)

	2021	2020
დასაქმებულთა ანაზღაურება	166042	176191
ცვეთა და ამორტიზაცია	20725	28381
იჯარი ხარჯი	33738	30734
კომუნიკაციის ხარჯები	420	173
თანამშრომელთა დაზღვევის ხარჯი	115	115
კომპიუტერული მომსახურების ხარჯები	258	254
ბანკის მომსახურება	1247	285
საკანცელარიო ხარჯები	1502	1118
ელ. ენერგიის ხარჯი	8576	3550
სხვა საერთო ხარჯი	36799	23144
სულ	269422	263945

10. პოტენციური ვალდებულებები

ეკონომიკური განვითარების ტენდენციების საქართველოში

ქართული ეკონომიკა ჯერ კიდევ მოიცავს ბაზრის განვითარებასთან დაკავშირებულ რისკებს, რაც გულისხმობს: არასათანადოდ განვითარებულ ბიზნესის ინფრასტრუქტურასა და საწარმოთა საქმიანობის რეგულირების ნორმატიულ ბაზას, ეროვნული ვალუტის შეზღუდულ კონვერტულობას, უცხოური ვალუტაში ოპერაციების განხორციელების შეზღუდვასა და ლიკვიდურობის დაბალ მაჩვენებელს კაპიტალის ბაზარზე. საქართველოს მთავრობამ უკვე მიიღო გარკვეული ზომები აღნიშნული პრობლემების გადასაჭრელად, მიუხედავად ამისა, საკანონმდებლო და საფინანსო სისტემის დარეგულირებასთან დაკავშირებული რეფორმები ჯერ კიდევ არ არის დასრულებული. ასევე მნიშვნელოვანი იქნება ახალი კორონავირუსის პირობებში წარმოქმნილი რისკების გავლენა კომპანიის ფინანსურ შედეგებზე.

იურიდიული ვალდებულებები

კომპანიას ჩვეული საქმიანობის პროცესში საქმე არ აქვს სასამართლო სარჩელებსა და პრეტენზიებთან. იმ შემთხვევაში თუ კომპანიას ექნებოდა სასამართლო სარჩელები და პრეტენზიები, მაშინ იგი სათანადოდ ასახავდა ფინანსურ ანგარიშგებაში აღნიშნულ ოპარაციებს, თუ ამ ოპარაციებს არსებითი გავლენა ექნებოდა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე.

11. კომპანიის საქმიანობის უწყვეტობა

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისეთი დაშვების საფუძველზე, რომელიც გულისხმობს, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას განუსაზღვრელი დროით მომავალში. ეს ვარაუდი ითვალისწინებს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულისა საქმიანობის პროცესში. ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს მასშტაბულ აქტივების თანხების რაიმესახის კორექტირებებს, რომელიც აუცილებელი იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ კომპანია სარეკონსტრუქციო სამუშაოების გაგრძელების შესაძლებლობა ან მოახდენდა საკუთარი აქტივების რეალიზაციას არათავისი ჩვეულისა საქმიანობის პირობებში.